საიუბილეო წლის მიჯნაზე

მეასმილიონე ტონა ფოლადისათვის!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი | № 296 (13988) | პარასკევი, 22 დეკემბერი, 1967 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს მოცდენა 24 დეკემბერს

საიუბილეო წელს საბჭოთა მეტალურგიული მრეწველობა მიუახლოვდა წელიწადში 100 მილიონი ტონა ფოლადის წარმოების დონეს. ჩვენი ქვეყნის მეფოლადეებმა დიდი პატრიოტული შეჯიბრება გაშალეს ამ გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის. დღედაღამ არ წყდებოდა შრომა მარტენის საამქროებში. მოწინავე კოლექტივები, ბრიგადები, ფოლადის დნობის ოსტატები თავდადებით შრომობდნენ. და აი დადგა საზეიმო დღეები.

24 დეკემბერს ჩვენი ქვეყნის 21 მოწინავე მეტალურგიული ქარხნის საუკეთესო მეფოლადეები დაამთავრებენ მეასმილიონე ტონა ფოლადის გამოდნობას.

მეტად საამაყო და სასიხარულოა, რომ საიუბილეო დნობის მონაწილეთა შორის არიან რუსთაველი მეტალურგებიც — № 1 მარტენის ღუმელის № 4 ბრიგადის მეფოლადენი, რომლებსაც ზ. ყაველაშვილი ხელმძღვანელობს.

რუსთაველ მეტალურგთა შრომის ესოდენ მაღალი დაფასება შემთხვევითი როდია. მათ არა ერთი სასახელო ფურცელი ჩაუწერიათ სამამულო მეტალურგიის განვითარების ისტორიაში.

სწორედ მათ ფოლადის უწყვეტი ჩამოსხმის დანადგარზე, რომელიც პირველად საბჭოთა კავშირში რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში ამოქმედდა, დაამყარეს ახალი საკავშირო რეკორდი. მთელი დღეღამის განმავლობაში დანადგარის რადიკალური კრისტალიზატორის რთული მექანიზმის შეუფერხებელი მუშაობით განხორციელებული ექვსი დნობის შედეგად გამოადნეს ასობით ტონა ფოლადი. ეს ხუთჯერ აღემატება აქამდე სამამულო მეტალურგიაში მიღწეულ შედეგს.

რუსთაველები ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურნენ უდანოველ მეფოლადეთა პატრიოტულ ინიციატივას და მოიპოვეს კიდეც მეასმილიონე ტონა ფოლადის საიუბილეო დნობაში მონაწილეობის უფლება.

ეს ქართველ მეფოლადეთა შემარეთებული შრომის უდიდესი დაფასება და აღიარებაა!

გულით გილოცავთ, ძვირფასო მეგობრებო!

* * *

სურათებზე: მარცხნივ — მეასმილიონე ტონა ფოლადის გამოდნობის მონაწილე მეფოლადე ზ. ყაველაშვილი. ზემოთ — ღუმელი, სადაც მოხდება ფოლადის საიუბილეო გამოდნობა. ქვემოთ — თავის მეგობარს ზ. ყაველაშვილს ესოდენ დიდ პატივს ულოცავს სოციალისტური შრომის გმირი, ცნობილი მეფოლადე ა. ფანცულაია.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ზაქარია ყაველაშვილის ბრიგადა — მეასმილიონე ტონა ფოლადის გამოდნობის მონაწილე

რუსთავში გუშინ დილით გახდა ცნობილი, რომ სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს კოლეგიისა და მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მეფოლადეებთან ერთად მეასმილიონე ტონა ფოლადის გამოდნობის უფლება მიენიჭა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს № 1 მარტენის ღუმელის № 4 ბრიგადას, რომელსაც ფოლადის ჩქაროსნული დნობის ოსტატი ზაქარია ყაველაშვილი ხელმძღვანელობს.

ზაქარია ყაველაშვილი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში მისი დაარსების დღიდან მუშაობს. 1944 წელს სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად იგი დონბასში გაგზავნეს პროფესიის ასათვისებლად სწავლის დამთავრების შემდეგ, 1950 წლის 27 აპრილს მონაწილეობა მიიღო პირველი ქართული ფოლადის გამოდნობაში. მასთან ერთად პირველი ფოლადის გამოდნობაში მონაწილეობდნენ აგრეთვე ისეთი სახელმოხვეჭილი მეფოლადეები, როგორიც არიან ა. ფანცულაია, გ. სიგუა, თ. ბარბაქაძე, ვ. მეტრეველი, შ. კუსალეიშვილი და სხვ.

ამ დღიდან ზ. ყაველაშვილმა სულით და გულით შეიყვარა მდნობელის პროფესია და მარტენის საამქროს აღარ მოსცილებია. იგი იყო ჩქაროსნული ნადნობებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ინიციატორი, ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებდა დავალებებს, ყოველწლიურად სამშობლოს უგზავნიდა ასობით ტონა ფოლადს.

ზ. ყაველაშვილის ბრიგადა ერთ-ერთი მოწინავე იყო და არის ქარხანაში. საიუბილეო წელს ბრიგადის კოლექტივმა ეს წარმატება კიდევ უფრო განამტკიცა. ბრიგადის წევრების ნაკისრი ვალდებულებისა და შესრულების მაჩვენებლები ერთმანეთს რომ შევადაროთ, ადვილად დავრწმუნდებით მათს თავდადებულ შრომაში.

საიუბილეო ვალდებულებით ბრიგადის წევრებს გეგმის გადამეტებით 600 ტონა ფოლადი უნდა გამოედნოთ. 11 თვეში ამ მაჩვენებელს დიდად გადააჭარბეს და სამშობლოს მისცეს 983 ტონა ფოლადი. ახლახან ბრიგადამ წლიური გეგმის შესრულება უპატაკა სამშობლოს — არის 1.000 ტონა ფოლადი გეგმის გადამეტებით!

—ძალიან გახარებული ვარ, რომ ჩემი ბრიგადით მონაწილეობას მივიღებ მეასმილიონე ტონა ფოლადის გამოდნობაში. ეს ბრიგადის წევრთა დიდი პატივია და კიდევ უფრო თავდადებული შრომისაკენ მოგვიწოდებს, თქვა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში სახელოვანმა მეფოლადემ.

ბრიგადის კოლექტივში დიდი მზადებაა. 24 დეკემბერს ზ. ყაველაშვილი და მისი ბრიგადის წევრები მ. ირემაშვილი, გ. შუბითიძე და სხვები მონაწილეობას მიიღებენ მეასმილიონე ტონა ფოლადის საზეიმო დნობაში, რაც კიდევ ერთ სახელოვან ფურცელს ჩასწერს ქართველ მეტალურგთა შრომითს ისტორიაში.

საქართველოს სსრ სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა მუშაკებს

ძვირფასო ამხანაგებო!

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მხურვალედ გილოცავენ სახელმწიფო უშიშროების საბჭოთა ორგანოების შექმნის 50 წლისთავს.

ვ. ი. ლენინის ინიციატივით შექმნილმა სრულიად რუსეთის საგანგებო კომისიამ უაღრესად დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების საქმეში. მტრული კაპიტალისტური გარემოცვის ურთულეს ვითარებაში საბჭოთა ჩეკისტებმა ჩვენი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებთან ერთად უზრუნველყვეს სახელმწიფო უშიშროება და სსრ კავშირის ხალხების მონაპოვართა ხელშეუხებლობა.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე და მტრის ზურგში ჩეკისტებმა საგმირო საქმეები ჩაიდინეს მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერების დასაცავად, გამოიჩინეს მგზნებარე პატრიოტიზმი და სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის თავდადებულ მებრძოლთა მაღალი თვისებები. პარტია და მთავრობა დიდად აფასებენ ჩეკისტების უდიდეს წვლილს მტერზე გამარჯვების საქმეში.

სახელმწიფო უშიშროების ორგანოები, რომლებსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, ფხიზლად იცავენ კომუნიზმის მშენებელი საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას.

ჩვენი სამშობლოს სახელმწიფო უშიშროების უზრუნველყოფის საქმეში, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა და მათ დაზვერვათა ძირგამმთხრელი მოქმედების წინააღმდეგ ბრძოლაში ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა საქართველოს ჩეკისტებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო მიესალმებიან და ულოცავენ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოთა პირად შემადგენლობას ღირსშესანიშნავ თარიღს და გამოთქვამენ მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ჩეკისტები კვლავაც თავდადებით იღგებიან ჩვენი დიადი სოციალისტური სამშობლოს ინტერესების სადარაჯოზე, მუდამ განამტკიცებენ ურთიერთობას მშრომელთა ფართო მასებთან, ზუსტად დაიცავენ სოციალისტურ კანონიერებას, აიმაღლებენ რევოლუციურ სიფხიზლეს და სრულყოფენ ჩეკისტურ ოსტატობას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი | საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი კიევში გაემგზავრა

21 დეკემბერს მოსკოვიდან უკრაინის სსრ 50 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად კიევში გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი. (საკდესი).

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობა

ხელსაწყოთსაშენებელი მრეწველობის მუშაკებმა ვადამდე შეასრულეს ხელსაწყოების, ავტომატიზაციის საშუალებებისა და გამოსათვლელი ტექნიკის წარმოების წლიური გეგმა. წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვებენ 100 მილიონ მანეთისაზე მეტ ამ პროდუქციას.

საპასუხნლო ნოგათეგი

ქუთაისელთა წარმატება

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებიც ენერგიულად იბრძვიან პარტიის XXIII ყრილობის ისტორიულ გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის, ახალი გამარჯვება მოიპოვეს.

ქუთაისის მრეწველობამ საიუბილეოდ ნაკისრი ვალდებულებებით გათვალისწინებულ ვადაზე ხუთი დღით ადრე — 20 დეკემბრისათვის შეასრულა საერთო პროდუქციისა და მეტ წილ სახეობათა ნაწარმის გამოშვების ხუთწლედის მეორე წლის გეგმა.

ქალაქის 20-მა საწარმომ ჯერ კიდევ 11 თვეში შეასრულა წლიური დავალება. განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სატრაქტორო, ელექტრომექანიკური, ავტოსარემონტო, ლუდის, რძის ქარხნების, ვ. ი. ლენინის სახელობის მაუდის, ავეჯის, საკონდიტრო, საგალანტერიო, მეორადი ნედლეულის, № 4 და № 8 სამკერვალო ფაბრიკების, „ქუთაისტრიკის“ მაღაროთა სამმართველოს, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს, აბრეშუმის კომბინატისა და ხორცკომბინატის კოლექტივებმა.

11.000 ტონა ციგრუსისათვის

ბათუმი. 21 დეკემბერი. (საქდესი). ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება საიუბილეო წელს ნაკისრ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისათვის და გადაჭარბებით შეასრულეს სახელმწიფოსათვის მანდარინის მიყიდვის გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდა 4.736 ტონა მანდარინი ნაცვლად გეგმით ვათვალისწინებული 4.475 ტონისა.

რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები იბრძვიან იმისათვის, რომ სახელმწიფოს მიჰყიდონ 11 ათასი ტონა მანდარინი, ფორთხალი და ლიმონი.

მაღალი ჯილდოები

მოსახლეობაში სანიტარულ-გამაჯანსაღებელი და პროფილაქტიკური მუშაობის განსახორციელებლად საბჭოთა ჯანმრთელობის დაცვისადმი დახმარების გაწევაში დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1967 წლის 20 დეკემბრის ბრძანებულებით სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოების კომიტეტების მუშაკთა, დონორთა და აქტივისტთა დიდი ჯგუფი.

მათ შორის საქართველოს სს რესპუბლიკაში:

შრომის წითელი დროშის ორდენით

1. **ქურციკაშვილი** სოლომონ ლევანის-ძე — საქართველოს სსრ წითელი ჯვრის საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.

2. **წულეისკირი** მარგარიტა დიმიტრის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების კალინინის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, ქალაქი თბილისი.

„საპატიო ნიშნის“ ორდენით

1. **ჭანიბაია** შოდა დავითის ასული — დონორი, 26 კომისრის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის კონტროლიორი, ქალაქი თბილისი.

2. **ჭორიძე** მარიამ ერეკლეს ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების აჭარის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

3. **კოჩიევა** ანა სარდიონის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე.

მედლით „შრომითი მამაცობისათვის“

1. **დადიანი** დავით კონსტანტინეს-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების აფხაზეთის საოლქო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. **ხუბულური** ევგენია ზურაბის ასული — დონორი, თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშეკეთებელი ქარხნის ელექტრიკოსი.

მედლით „შრომითი წარჩინებისათვის“

1. **ანსიმოვი** ივანე თევდორეს-ძე — წითელი ჯვრის საზოგადოების რუსთავის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე.

2. **ტალაბაძე** ეთერ ნესტორის ასული — წითელი ჯვრის საზოგადოების სამტრედიის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

ქალაქ მოსკოვის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 1967 წლის გეგმა

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად ფართოდ გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრების საფუძველზე მოსკოვის მუშებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა დიდი საწარმოო წარმატებანი მოიპოვეს.

მოსკოვის მრეწველობამ 21 დეკემბერს ვადამდე შეასრულა წარმოების საერთო მოცულობისა და მეტი წილი უმნიშვნელოვანესი ნაწარმის გამოშვების 1967 წლის გეგმა.

წლის დამლევამდე დედაქალაქის მრეწველობა გეგმის გადამეტებით გამოუშვებს დიდძალ ფოლადს, ფერადი ლითონების ნაგლინს, ზუსტ ჩარხებს, ხელსაწყოებს, ავტომატიზაციისა და გამოსათვლელი ტექნიკის საშუალებებს, ტექნოლოგიურ მოწყობილობას მრეწველობის სხვადასხვა დარგისათვის, ქსოვილს, ტრიკოტაჟის ნაწარმსა და სხვა პროდუქციას.

საწარმოთა კოლექტივებმა მთელი ძალ-ღონე მოახმარეს მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე მიღწევების, დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის უპირატესობათა გამოყენებას, დანერგეს შრომის ორგანიზაციის მეცნიერული მეთოდები და მოწინავე გამოცდილება და აღწევენ წარმოების ეფექტიანობის ამაღლებას. მოსკოვის მრეწველობაში საიუბილეო წელს დაჩქარდა წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა ამ უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლების საგეგმო დავალებანი; პროდუქციის მოცულობის გადიდების 95 პროცენტზე მეტი მიღებულია შრომის ნაყოფიერების გადიდების გზით.

ოქტომბრის 50 წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვით აღფრთოვანებული მოსკოველი მშრომელები ფართოდ აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას 1970 წლის 7 ნოემბერს ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის. დედაქალაქის მშრომელები ამრავლებენ თავიანთ წვლილს საერთო სახალხო ბრძოლაში საბჭოთა კავშირის ეკონომიური ძლიერების შემდგომი ზრდისათვის, ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის.

საბჭოთა უკრაინის იუბილეს აღსანიშნავად

ხარკოვი, 20 დეკემბერი. (საკდესის კორ.). ხარკოვის მშრომელები, სადაც 50 წლის წინათ — 1917 წლის 25 დეკემბერს — სრულიად უკრაინის საბჭოების პირველმა ყრილობამ უკრაინა გამოაცხადა საბჭოთა რესპუბლიკად, ფართოდ აღნიშნავენ ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

დღეს გაიმართა საბჭოთა უკრაინის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთო საქალაქო მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისადმი.

დაიწყო მეტროს ახალი სადგურის მშენებლობა

ბაკოს დასავლეთ ნაწილში დაიწყო მეტროს ახალი სადგურის „ნიზამის“ მშენებლობა. ორ კილომეტრიანი გადასარბენი მას დაკავშირებს ვოგზალთან. ერთდროულად მეტრომშენებლები ქვაბულებს თხრიან კიდევ სამი სადგურისათვის: ესენია „მენჟინსკაიასა“, „ულიანოვსკაია“ და „ახიეზერსკაია“ სადგურები.

მეტროპოლიტენის ახალი ხაზის აშენება გათვალისწინებულია 1970 წლისათვის.

(საკდესის კორ.).

ყოფაცხოვრების ინდუსტრია კომკავშირის საზრუნავია

მოსკოვი, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღეს კრემლის ყრილობათა სასახლეში მუშაობა დაიწყო ვაჭრობის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სამგზავრო ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის ახალგაზრდა მუშაკთა პირველმა სრულიად საკავშირო შეკრებამ.

შეკრება გახსნა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა.

მოხსენება „ყოფაცხოვრების სამსახურის კომკავშირული ორგანიზაციების, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის როლის გაძლიერება მოსახლეობის მომსახურების გაუმჯობესებაში“ გააკეთა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ა. ხ. ვეშნიაკოვმა.

შეკრების ტრიბუნიდან გაისმა ახალგაზრდა მშრომელთა — მომსახურების სხვადასხვა სფეროს ენთუზიასტთა სიტყვები.

ახალგაზრდობის წინაშე გამოვიდნენ სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრი ა. ი. სტრუევი, რუსეთის სფსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ა. ნ. განდურინი, „ცენტროსოიუზის“ გამგეობის თავმჯდომარე ა. პ. ალიმო�i და სხვები.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის განყოფილების გამგე კ. ს. სიმონოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრების მომსახურების განყოფილების გამგე ი. ი. ბაბოკინი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ა. ა. ბელეინოვი.

შეკრების მონაწილეებმა მიიღეს მისასალმებელი დეპეშა ამერიკელ ეკონომისტებისადმი.

22 დეკემბერს შეკრება განაგრძობს მუშაობას.

(საკდესის).

კეთილი ნების მისია

20 დეკემბერს მოსკოვში ჩამოვიდა განვითარებადი ქვეყნების „კეთილი ნების მისია, რომელსაც მეთაურობს სენეგალის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სახელმწიფო მინისტრი დ. ტიამი.

მისიის მიზანია გააცნოს საბჭოთა მთავრობას მიმდინარე წლის ოქტომბერში ალჟირში გამართული განვითარებადი ქვეყნების 77-ე ჯგუფის მინისტრთა კონფერენციის გადაწყვეტილებანი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ვაჭრობისა და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი მომავალი კონფერენციისათვის ამ ქვეყნების მზადებასთან დაკავშირებით. (საკდესი).

ძმური მხარდაჭერა

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის 7 წლისთავთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირის მშვიდობის დაცვის კომიტეტმა გაუგზავნა მისალმება სამხრეთ ვიეტნამის მშვიდობის დაცვის კომიტეტს.

საბჭოთა კავშირის მშვიდობის მომხრეებმა ვიეტნამელ მეგობრებს უსურვეს მალე გამარჯვება, აგრესორებისა და მათი დამქაშების მთლიანად გაძევება ვიეტნამიდან.

(საკდესი).

მხურვალე მილოცვები

სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის მეშვიდე წლისთავის გამო ამხანაგებმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ნ. ი. პოდგორნიმ და ა. ნ. კოსიგინმა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნეს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დოქტორ ნგუენ ხიუ თხოს.

მთელი საბჭოთა ხალხისა და პირადად ჩვენი სახელით მხურვალედ გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ და თქვენი სახით სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალურ კომიტეტს, გმირ სამხრეთვიეტნამელ ხალხს, ნათქვამია დეპეშაში. განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნა დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია სამხრეთვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გზაზე, ცხადყო, რომ მას მტკიცედ აქვს გადწყვეტილი იბრძოლოს უცხოელ დამპყრობთა და მათი მარიონეტების წინააღმდეგ.

გასულმა წლებმა დამაჯერებლად გვიჩვენეს, რომ სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტი სამხრეთ ვიეტნამის ხალხის ნებისა და იმედების ნამდვილი გამომხატველი გახდა. ახალი პროგრამის მიღებით ფრონტმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ხელმძღვანელობს სამხრეთვიეტნამელი ხალხის ძირეული ეროვნული ინტერესებით. ამ დოკუმენტმა უეჭველია, უნდა შეასრულოს დიდი როლი დამოუკიდებელი, დემოკრატიული, მშვიდობიანი ნეიტრალური სამხრეთვიეტნამის აშენებისათვის ბრძოლაში. ფრონტის ახალი პროგრამა ხელს შეუწყობს ვიეტნამის მოსახლეობის შემდგომ შეკავშირებას ამერიკელი აგრესორებისა და მათი საიგონელი მარიონეტების წინააღმდეგ.

საბჭოთა ადამიანები, ხაზგასმულია დეპეშაში, თავიანთ აღტაცებას გამოთქვამენ სამხრეთვიეტნამელი პატრიოტების მამაცობით და სოლიდარობას უცხადებენ მათს სამართლიან ბრძოლას ამერიკელ ინტერვენტების წინააღმდეგ. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ ვერ დაარჩენს იმ ხალხს, რომელიც მზად არის მთელი ძალ-ღონე მოახმაროს ბრძოლას სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ხელმძღვანელობს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებით, აქტიურად დგას განთავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხების მხარეზე, ყოველნაირად უჭერს მხარს სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნულ ფრონტსა და მის პროგრამას, რომელიც 1954 წლის ჟენევის შეთანხმებათა სულისკვეთებას შეესაბამება და იზიარებს ფრონტის პოზიციას ვიეტნამის პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ.

განთავისუფლების ეროვნული ფრონტის შექმნის წლისთავის დღეს გულწრფელად ვუსურვებთ სამხრეთვიეტნამელ ხალხს ახალ წარმატებებს ამერიკელი აგრესორებისა და მათი საიგონელი მარიონეტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

ჩვენს ქალაქ სოფელ

ინიციატივის, სიახლის გზით

ოცა სიახლეზე, ინიციატივაზე ვლაპარაკობთ, უმალვე თვალწინ წარმოგვიდგება მკლავლენილი და შუბლნათელი ადამიანები, რომლებიც დროს უსწრებენ, არ სჩვევიათ სიარული მხოლოდ გატკეპნილი გზით, ეძებენ ყოველთვის ახალსა და სასარგებლოს, მუშაობაში იჩენენ მრავალ პატიოსან თვისებას. და ეს ინიციატივა, ახლისადმი სწრაფვა ხომ მიმართულია იქითკენ, რომ შრომის უფრო მეტი და მეტი პროდუქტი მისცენ სამშობლოს, უწყონო, მაღალხარისხოვანი იყოს მათი ნახელავი, დაიჩქარონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა.

ასეთი ადამიანები კი ცოტანი როდი არიან თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატ „საბჭოთა საქართველოს" კოლექტივში. სწორედ აქ, კომუნისტური შრომის ამ საწარმოში, სადაც 470-ზე მეტი კომუნისტია, ბევრმა კარგმა წამოწყებამ იჩინა თავი.

ფართო მხარდაჭერა და გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, ქვეოსტატ ლევან ჯანანაშვილის ბრიგადის თაოსნობამ — ნედლეულის ეკონომიურად ხარჯვის გზით გამოუშვან დამატებითი პროდუქცია. კარგი პრაქტიკული შედეგი მოჰყვა აგრეთვე ახალგაზრდა კომუნისტი ბრიგადირის ბესარიონ თედორაძის ინიციატივას — ძირითადი ფონდების უკეთ გამოყენებით მიიღონ ზეგეგმითი მოგება. ამ ერთი წლის მანძილზე ბრიგადამ მშობლიურ კომბინატს სამი ათას მანეთამდე ზეგეგმითი მოგება მისცა.

და განა მარტო ეს. უკანასკნელ ხანს კომბინატში დაიბადა ბევრი სასარგებლო წინადადება პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მისი თვითღირებულების შემცირებისათვის. ახლის წამომწყებნი კი პირველ რიგში კომუნისტები არიან.

აი ერთ-ერთი მათგანი — სოციალისტური შრომის გმირი ვერა ქემაშვილი, რომლის ბრიგადასაც ჯერ კიდევ 1961 წელს მიენიჭა კომუნისტური შრომის ბრიგადის სახელი. იმათ რიგებში, რომლებიც ყოველდღიურად იჩენენ აქტივობას, განსაკუთრებით უფროსილდებიან მშობლიური კოლექტივის სახელს, არიან კომუნისტები: მჭყოველები ა. კარტაუსი და ა. ნადირაძე. მრთველები ე. ვარამაშვილი და ჭ. მარშანია, ქვეოსტატები ი. საკაძე, ე. გაბისონია, გ. ეგიაზაროვი, კ. ოტიაშვილი, ი. ჭორჭაძე, კ. კობრავა, ნ. ხარიტონაშვილი...

სწორედ მათი და კიდევ ბევრი სხვა მოწინავე ფეიქრის შრომამ, გულმოდგინებამ, აგრეთვე კომბინატის დირექციისა და პარტიული ორგანიზაციის მიზანსწრაფულმა ორგანიზატორულმა მუშაობამ განაპირობა ის, რომ კომბინატი აღმავლობის გზით მიდის. სულ უფრო ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს ხარისხს, აძცირებს მის თვითღირებულებას.

წინ კი ახალი და უფრო პასუხსაგები ამოცანებია, რომელთა გადაწყვეტა მთელი კოლექტივის შემოქმედებითს შრომას, ყველა რეზერვების გონივრულად გამოყენებას მოითხოვს.

და როცა გუშინწინ კომბინატის კომუნისტებმა თავიანთი პარტიული ორგანიზაციის მორიგ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე მოიყარეს თავი, გამართეს საქმიანი და გულღია საუბარი იმაზე, თუ რა გააკეთეს პარტიული კომიტეტის მთელ საანგარიშო პერიოდში, რა დადებითი გამოცდილება შეიძინეს, რა დარჩათ გასაკეთებელი და გასათვალისწინებელი, როგორ უნდა იმუშაოს პარტიულმა კომიტეტმა, პარტიული ორგანიზაციის თვითეულმა წევრმა ახალი და პასუხსაგები ამოცანების გადასაჭრელად.

ამ შინაარსით იყო სავსე პარტიული კომიტეტის საანგარიშო მოხსენება, რომლითაც მისი მდივანი გ. კოპლატაძე გამოვიდა, აგრეთვე ყოველი მოკამათის სიტყვა.

მთელი დარბაზი კანონიერი სიამაყითა და სიხარულით შეხვდა ცნობას, რომ კამვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივმა 20 დეკემბერს, პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრების მიმდინარეობის დღეს, დიდი გადაჭარბებით შეასრულა წლიური გეგმა. ფეიქრებმა ამასთან ერთად იკისრეს, რომ საიუბილეო წლის ვალდებულებით გათვალისწინებული 85 ათასი მეტრის ნაცვლად წლის ბოლომდე 110 ათასი მეტრი მაღალხარისხოვანი შალის ქსოვილი გამოუშვან.

ასეთი სასიხარულო ცნობები კი იშვიათი როდი იყო მთელ საანგარიშო პერიოდში! აი თუნდაც საიუბილეო წლის 11 თვის დავალებათა შესრულება: მატყლის პირველადი დამუშავების წარმოებამ გეგმა 129,8 პროცენტით გადაჭარბა, კამვოლური ნართისამ —104,7 პროცენტით, მაუდის ნართისამ —108,7 პროცენტით, ბოლო საქსოვმა წარმოებამ — 102,2 პროცენტით. ამ მაჩვენებლებთან ერთად განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ მნიშვნელოვნად გაძლიერდა შრომელთა მატერიალური სტიმულირება, რის შედეგადაც წელს 11 თვეში, შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით, ერთი მომუშავის საშუალო ხელფასი თვეში 7 მანეთით გაიზარდა.

კრების მონაწილენი განსაკუთრებით უსვამდნენ ხაზს მართვის ახალ სისტემაზე გადასვლის უპირატესობას, მის თვალსაჩინო სიკეთეს.

— სამეურნეო რეფორმამ, — ამბობდნენ ისინი, — მთელი კოლექტივის წინაშე დააყენა მთავარი ამოცანა — გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება. კომბინატში შევიმუშავეთ და დავნერგეთ მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებისათვის წახალისების სისტემა. და აი შედეგიც: შარშანდელთან შედარებით 6,12 პროცენტით მეტ პირველხარისხოვან პროდუქციას ვუშვებთ.

ახალმა სისტემამ კომბინატს საშუალება მისცა აემაღლებინა ხელფასის ანაზღაურების დონე, გაედიდებინა წამახალისებელი ფონდები. დაგეგმილია ამ წლის ბოლომდე სხვადასხვა პრემიის სახით დაიხარჯოს 240 ათას მანეთამდე.

კრებამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვას. აღინიშნა, რომ მაუდის ნართის წარმოებაში ორი ახალი აპარატი დაამონტაჟეს, კარბონიზაციის უბანზე დადგეს ბოჭკოს სამღებრო აპარატი, ხოლო სამღებრო-გამომყვან წარმოებაში — სახარშავ-სარეცხი აგრეგატი. დაინერგა აგრეთვე ახალი პრეპარატები, რამაც საგრძნობლად შეამცირა წყვეტიანობა დართვაში.

კომბინატის კოლექტივი ამაყობს თავისი რაციონალიზატორებით და გამომგონებლებით. ბევრ მათგანს — მ. ბაბუნაშვილს, ნ. ხარიტონაშვილს, ვ. პილიშუკს, ი. ჭორჭაძეს, ა. ნასიძეს, ლ. გოგოლაძეს, გ. ბაჩიაშვილს რესპუბლიკის დამსახურებული რაციონალიზატორის წოდება მიენიჭა. მარტო წელს 11 თვეში კომბინატის რაციონალიზატორების მიერ შეტანილ წინადადებათა ეკონომიური ეფექტი 180 ათას მანეთზე მეტს შეადგენს.

სულ უფრო ფართოვდება კომუნისტური შრომისათვის მოძრაობა. საკმარისია ითქვას, რომ 2.188 მუშა კომუნისტური შრომის დამკვრელია. აქ კომუნისტური შრომის სახელს ატარებს 3 წარმოება, 8 საამქრო, 21 ცვლა და 88 ბრიგადა. სწორედ ამ პატრიოტული მოძრაობის, მთელი კოლექტივის პასუხისმგებლობის ამაღლების შედეგია, რომ საანგარიშო პერიოდში კომბინატმა 8-ჯერ მოიპოვა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ამ ცოტა ხნის წინათ კი, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებისათვის, კამვოლ-მაუდის კომბინატის კოლექტივს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის დადგომამდე რამდენიმე დღეა დარჩა. საქართველოს მშრომელები ახალ წელს შრომითს საჩუქრებს უმზადებენ. თბილისისა და სხვა ქალაქების მესხოურებთა საახალწლო სუფრას თბილისის სამენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს ოსტატთა შესანიშნავი ნახელავიც დამშვენებს. თვალს ახარებს აქ დამზადებული სურები, ფიალები, ვაზები...

გატაცებით მუშაობს საამქროში კომკავშირელი მზია ძამსაშვილი. იგი წარმატებით ათავსებს საამქროში მუშაობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან.

სურათზე: კომკავშირელი მზია ძამსაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ტ. რამიშვილისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

ანგარიშგება-არჩევნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის დადგომამდე რამდენიმე დღეა დარჩა. საქართველოს მშრომელები ახალ წელს შრომითს საჩუქრებს უმზადებენ. თბილისისა და სხვა ქალაქების მესხოურებთა საახალწლო სუფრას თბილისის სამენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს ოსტატთა შესანიშნავი ნახელავიც დამშვენებს. თვალს ახარებს აქ დამზადებული სურები, ფიალები, ვაზები...

გატაცებით მუშაობს საამქროში კომკავშირელი მზია ძამსაშვილი. იგი წარმატებით ათავსებს საამქროში მუშაობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან.

სურათზე: კომკავშირელი მზია ძამსაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ტ. რამიშვილისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის დადგომამდე რამდენიმე დღეა დარჩა. საქართველოს მშრომელები ახალ წელს შრომითს საჩუქრებს უმზადებენ. თბილისისა და სხვა ქალაქების მესხოურებთა საახალწლო სუფრას თბილისის სამენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს ოსტატთა შესანიშნავი ნახელავიც დამშვენებს. თვალს ახარებს აქ დამზადებული სურები, ფიალები, ვაზები...

გატაცებით მუშაობს საამქროში კომკავშირელი მზია ძამსაშვილი. იგი წარმატებით ათავსებს საამქროში მუშაობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან.

სურათზე: კომკავშირელი მზია ძამსაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ტ. რამიშვილისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

ანგარიშგება-არჩევნები პარტიულ ორგანიზაციებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

1968 წლის დადგომამდე რამდენიმე დღეა დარჩა. საქართველოს მშრომელები ახალ წელს შრომითს საჩუქრებს უმზადებენ. თბილისისა და სხვა ქალაქების მესხოურებთა საახალწლო სუფრას თბილისის სამენ მასალათა კომბინატის კერამიკული საამქროს ოსტატთა შესანიშნავი ნახელავიც დამშვენებს. თვალს ახარებს აქ დამზადებული სურები, ფიალები, ვაზები...

გატაცებით მუშაობს საამქროში კომკავშირელი მზია ძამსაშვილი. იგი წარმატებით ათავსებს საამქროში მუშაობას უმაღლეს სასწავლებელში სწავლასთან.

სურათზე: კომკავშირელი მზია ძამსაშვილი მუშაობის დროს.

ფოტო ტ. რამიშვილისა. (საქფესის ფოტოქრონიკა).

22 დეკემბერი ენერგეტიკის დღეა

სახალხო მეურნეობის მძლავრი ბერკეტი

დ. ჩხეიძე,
საქმთავარმენერგოს უფროსი, დამსახურებული ინჟინერი.

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს ენერგეტიკის დღეს — საბჭოთა ენერგეტიკოსების დიდ დღესასწაულს.

47 წლის წინათ, 1920 წლის დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების მერვე ყრილობამ მოიწონა ვ. ი. ლენინის ინიციატივით შემუშავებული მთელი ქვეყნის ელექტროფიკაციის გეგმა. ამ დროიდან დაიწყო საბჭოთა ენერგეტიკის გეგმიანი განვითარება, რომელმაც ჩამორჩენილი მეფის რუსეთი მძლავრ ინდუსტრიულ საბჭოთა ქვეყნად აქცია.

ელექტროფიკაციის როლი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ნათლად არის გამოსატული ვ. ი. ლენინის გენიალურ ფორმულაში — „კომუნიზმი ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“. ლენინის ეს ლოზუნგი მთელი ჩვენი შემოქმედებითი მუშაობის დებულებაა.

რევოლუციის წინა პერიოდში საქართველოში ენერგეტიკული ბაზა სრულიად არ არსებობდა. გვქონდა მხოლოდ ცალკე მოშუშავე წვრილი ელექტროსადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე 1913 წელს შეადგენდა 8 ათას კილოვატს — 19,8 მილიონი კილოვატსაათი წლიური გამომუშავებით. პირველი მსოფლიო ომისა და მენშევიკების ბატონობის დროს ეს წვრილი ელექტრომეურნეობა სავალალო მდგომარეობაში იყო.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ჩვენს რესპუბლიკაში ენერგეტიკის სწრაფი განვითარება.

1927 წლის 26 ივნისი ღირსშესანიშნავი თარიღია. ამ დღეს მწყობრში ჩადგა ზაჰესი. ამ ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემა იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მას დაესწრო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ი. კალინინი.

1933 წლის 30 სექტემბერს მწყობრში ჩადგა რიონჰესი, რომლის ამუშავებასთან დაკავშირებულია საქართველოს ენერგოსისტემის შექმნა.

ზაჰესის, ტყვარჩელჰესის, აწყისის, ობილჰესის და სხვა ელექტროსა და თბოსადგურების ამუშავების შემდეგ — სამამულო ომის წინ 1928 წელთან შედარებით ელექტროენერგიის გამომუშავება 18-ჯერ გაიზარდა.

მზარდი მრეწველობა ენერგეტიკული ბაზის შემდგომ განვითარებას მოითხოვდა. მართალია, სამამულო ომის პერიოდში ენერგეტიკის განვითარება საგრძნობლად შეფერხდა, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ენერგეტიკული ობიექტების მშენებლობა კვლავ აღმავლობით წავიდა. მწყობრში ჩადგნენ: ხრამჰესი I-II, ხოხოტჰესი, ჩითახევჰესი, სამგორის ჰესები, ორთაჭალჰესი, ზაარჰესი, ტყიბულჰესი, გუმათჰესი I-II, ლაჯანურჰესი და მრავალი სხვა. აღსანიშნავია, რომ 1968 წლის პირველი იანვრისათვის ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 1913 წელთან შედარებით 200-ჯერ გაიზრდება.

ენერგოსისტემის ზრდასთან დაკავშირებით აუცილებელი გახდა ენერგეტიკული ქსელების მშენებლობის ფართოდ გაშლა. პირველი 110-ათასვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი საქმესლოგადაცემი 1932 წელს გადაეცა. შემდგომ 1957 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა აგრეთვე 220-ათასვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი, 1964 წელს კი 330-ათასვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზი.

1954 წლიდან საქართველოს ენერგოსისტემა გაერთიანებულია აზერბაიჯანის ენერგოსისტემასთან, 1957 წლიდან კი კრასნოდარის ენერგოსისტემასთანაც. სამი წლის შემდეგ საქართველოს, აზერბაიჯანის და კრასნოდარის ენერგოსისტემები გაერთიანდნენ სომხეთის ენერგოსისტემასთან. გაერთიანებული ენერგოსისტემების სადისპეჩერო ხელმძღვანელობისათვის თბილისში ჩამოყალიბდა „ამიერკავკასიის ენერგოსისტემების გაერთიანებული სადისპეჩერო სამმართველო“.

საქართველოს ენერგოსისტემის კოლექტივმა განვლილ პერიოდში ნაყოფიერად იმუშავა მოსახმარებლების იმედიანი ელექტრომომარაგებისათვის, ენერგოსაწარმოთა მოდერნიზაციისა და ეფექტურობის ზრდისათვის.

ენერგოსისტემაში ფართოდ დაინერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაცია. თითბაში მოპოვებული წარმატებისა და საწარმოს სანმეშუნო მდგომარეობისათვის კომუნისტური შრომის საწარმოს საპატიო წოდება მიენიჭა ვ. ი. ლენინის სახელობის ზაჰესის, ხრამჰესის, რიონჰესის და სოხუმის ელექტროქსელების კოლექტივებს. ტყვარჩელჰესი და აწყისი უკვე რამდენიმე წელია კომუნისტური შრომის საწარმოები არიან.

საიუბილეო სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელეს ხრამჰესის ზეინკლმა ე. მახარაშვილმა, ზაჰესის უფროსმა ოსტატმა გ. დღლნიამ, ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის უფროსმა მემანქანემ პ. ქუჩუბერიამ, რიონჰესის მემანქანემ მ. ფოღენტმა, აწყისის მემანქანემ ა. სამნიძემ, სოხუმის ელექტროქსელების ქვესადგურების ჯგუფის ხელმძღვანელმა კ. გიცბამ და სხვ.

მიმდინარე ხუთწლედში ენერგეტიკის განვითარების დიდი გეგმებია დასახული.

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით 1970 წელს ელექტროენერგიის გამომუშავება 1965 წელთან შედარებით 1,9-ჯერ უნდა გაიზარდოს.

ამჟამად ფართოდ არის გაშლილი ენერგეტიკის მშენებლობა და თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის გაფართოების სამუშაოები.

წელს თბილისუბნში IV მძლავრი ენერგობლოკი უკვე ამუშავდა.

ცნობილია, რომ ენგურჰესი წარმოადგენს უნიკალურ ჰიდროელექტროსადგურს საინჟინრო ნაგებობათა რთული კომპლექსითა და დიდი მოცულობის სამუშაოებით. თბილისის ა. ვ. ვინტერის სახელობის ჰიდროენერგეტიკის და ნაგებობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტისა და ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილების მიერ გაწეულია რთული შემოქმედებითი სამეცნიერო-საკვლევ-საპროექტო მუშაობა ენგურჰესის რთული კომპლექსის დასაპროექტებლად. ტრესტ საქჰიდროენერგომშენის კოლექტივი დიდი ენთუზიაზმით იბრძვის სამშენებლო სამუშაოების დროზე დამთავრებისათვის და ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის, რათა 1970 წელს ენგურჰესი მოქმედი ელექტროსადგურების მწყობრში ჩადგეს.

ამასთანავე ელექტროენერგიის გამომუშავების თითქმის ორჯერ ზრდა მოითხოვს ქსელების შემდგომ განვითარებას. აშენდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა 500-ათასვოლტიანი ქვესადგურები თბილისსა და ზესტაფონში და ამავე ძაბვაზე ელექტროგადამცემი ხაზი თბილისი-ზესტაფონი-ენგურჰესი. ამ ელექტროგადამცემი ხაზის უბანი თბილისსა და ზესტაფონს შუა უკვე მიმდინარე წლის ბოლომდე უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. პირველ ხანებში ხაზის ეს უბანი 220 ათას ვოლტ ძაბვაზე იმუშავებს.

კომუნალური და საყოფაცხოვრებო საჭიროებისათვის თითქმის ორჯერ გაიზრდება ელექტროენერგიის მოხმარება. დიდი ყურადღება ეთმობა სოფლის ელექტროფიკაციის საკითხს. საგრძნობლად გაიზრდება მოსახლეობისა და წარმოებათა ცენტრალიზებული თბომომარაგება. კიდევ უფრო განვითარდება ახალი ტექნიკის დანერგვა, საწარმოო პროცესების ავტომატიზაცია და ტელემექანიზაცია.

ენერგეტიკოსების საპატიო ვალია გადაჭარბებით შეასრულონ გეგმით გათვალისწინებული მაჩვენებლები.



ამას წინათ კონაკოვოს სახელმწიფო რაიონულ ელექტროსადგურზე (მოსკოვის ოლქის ქალაქ კონაკოვოში) მწყობრში ჩადგა 750 ათასი ვოლტის ძაბვის ელექტროგადაცემის საცდელ-სამრეწველო ხაზი, რომელიც ყველაზე დიდია ევროპაში. კიდევ რამდენიმე წლის შემდეგ აქ დაიწყება 1 მილიონი ვოლტის. ძაბვის ელექტროგადაცემის ხაზის გამოცდა.

ახლა, როცა კონაკოვოს სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის ხუთმა ენერგობლოკმა დაიწყო სამრეწველო დენის გამოშვება, მისმა სიმძლავრემ 1 მილიონ 500 ათას კილოვატს მიაღწია.

უკვე მონტაჟდება მეექვსე ენერგობლოკი, ხოლო 1968 წელს დაამონტაჟებენ და აამუშაებენ მეექვსე და მეშვიდე ენერგობლოკებს. მაშინ რაიონული ელექტროსადგურის სიმძლავრე იქნება 2 მილიონ 400 ათასი კილოვატი. წლის განმავლობაში სადგური გამოიმუშავებს 15 მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

სურათზე: მომზადება 750 ათას ვოლტიანი სამაღლებელი ტრანსფორმატორისა, რომელიც მუდამ შეინახავს მაღალ ძაბვას და შესაძლებელს გახდის ცვლადი დენის დიდ მანძილებზე გადაცემას უმცირესი დანაკარგებით.

ფოტო რ. ალფიმოვისა (ასაფი ამბების საააგენტო).

ბერძენი ხალხი მარტო არ არის!

ნიდერლანდის მოსახლეობა

ჰაგა, 21 დეკემბერი. (საკდესი). მილეგული მონაცემების თანახმად 1967 წლის ოქტომბრისათვის ნიდერლანდის მოსახლეობა შეადგენდა 12.641.326 კაცს. ამას იუწყება სტატისტიკის ცენტრალური ბიუროს სტატისტიკური ბიულეტენი, რომელიც დღეს გამოქვეყნდა.

საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროში გაიმართა ბერძენი ხალხის ბრძოლასთან სოლიდარობის მიტინგი.

— საბერძნეთის ამბები კვლავ ადასტურებენ, რომ სწორია ევროპის კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა კარლოვი ვარის კონფერენციის დასკვნები, რომლებშიც აღნიშნულია ღრმა პოლიტიკური კრიზისი საბერძნეთში, ფაშიზმის აღორძინების საფრთხე ამ ქვეყანაში, — თქვა სამინისტროს პარტიული ბიუროს მდივანმა ვ. ხარჩილავამ. — ახლა ხუნტის წინააღმდეგ მეფე კონსტანტინს ბლიუნუტენს და იტალიაში მისი გაქცევის შემდეგ კიდევ უფრო გამოაშკარავდა ხუნტის ფაშისტური სახე. საბერძნეთში გრძელდება ოპოზიციურ პოლიტიკურ მოღვაწეთა დაპატიმრება, საპყრობილეებში ამწყვდევენ სულ უფრო მეტ ბერძენ პროგრესულ მოღვაწეს.

ძირს ფაშიზმი! ფაშიზმი ვერას გახდება! — აღნიშნეს თავიანთ გამოსვლებში სოფლის მეურნეობის დაფინანსების სამმართველოს უფროსის მოადგილემ ა. დგებუაძემ, მინისტრს თანაშემწემ ლ. არუთინოვმა, სამინისტროა კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ვ. ზედელაშვილმა და სხვა ორატორებმა.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში მოითხოვეს ბერძენი ხალხის დემოკრატიულ და კონსტიტუციურ უფლებათა აღდგენა.

თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის მუშაები, მოსამსახურეები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები შეიკრიბნენ მიტინგზე ბერძენ დემოკრატთა დასაცავად.

— საბჭოთა ადამიანები შეშფოთებით ადევნებენ თვალს საბერძნეთის ამბებს, — განაცხადა ფაბრიკის პარტიული ბიუროს მდივანმა ი. ნიკოლაიშვილმა, რომელმაც მიტინგი გახსნა.

— ჩვენი ახალგაზრდობა, — თქვა საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. ფირცხალავამ, — იცნობს და ახსოვს ელადის გმირები, კომუნისტები და დემოკრატები, რომლებიც ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ. ჩვენ მოვითხოვთ: შეწყვიტეთ თვითნებობა.

ამ მოთხოვნას მხარი დაუჭირეს ფაბრიკის პარტიული კომიტეტის მდივმ ს. ქარსელაძემ, დისპეტჩერმა დ. ყლენტმა, სამკერვალო საამქროს პარტიული ბიუროს მდივანმა მ. აბრამენკომ, მოწინავე მკერავმა ლ. ძიგანიმ.

მიტინგის მონაწილეებმა გულისწყრომით დაგმეს ბერძენ ხელისუფალთა თვითნებობა და ძალადობა ბერძენ პატრიოტთა მიმართ.

ბერძენ პატრიოტებთან სოლიდარობის მიტინგი გაიმართა 21 დეკემბერს „თბილიფროპროექტის“ ინსტიტუტში.

საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გააკეთა ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანმა ა. ჭითანავამ.

— ბერძენი ხალხი, — თქვა ინსტიტუტის ტექნიკური განყოფილების უფროსმა მ. მამასახლისოვმა, — მარტო არ არის თავის ბრძოლაში. მის მისწრაფებას თავისუფლებაზე, მშვიდობისა და დემოკრატიისადმი მხარს უჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა. დიქტატორები ვერ გატეხენ პატრიოტთა ნებისყოფას, ხიშტებით ვერ ჩაახშობენ მისწრაფებას თავისუფლებისადმი.

მიტინგზე ბერძენ პატრიოტთა განთავისუფლება და დემოკრატიული პრინციპების აღდგენა მოითხოვეს ინსტიტუტის მთავარმა სპეციალისტმა ბ. ზერცალოვმა და კომკავშირელმა კ. ციმაკურიძემ.

მიტინგზე მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს საბერძნეთის სამხედრო ხუნტის მოქმედებას, იცავს ელადის ხალხის უფლებებსა **და თავისუფლებებს. (საკდესი).**

საქართველოს ინფორმაციული ცხოვრებიდან

ხელოვნებრულება რატიფიცირებულია

ბუდაპეშტი, 20 დეკემბერი. (საკდესი). დღეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრებამ ერთსულოვნად დაამტკიცა სსრ კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერეს 1967 წლის 7 სექტემბერს.

ლ. ი. ბრეჟნევის მოსსენება ცეილონის ენეებზე

კოლომბო, 21 დეკემბერი. (საკდესი). ცეილონში სინგალურ და ტამილურ ენებზე გამოიცა ბროშურა, რომელშიც დაბეჭდილია ტექსტი სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებისა სკკ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რუსეთის სფსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებულ საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს.

საბჭოთა კავშირის სავაჭრო დელეგაცია ურუგვაიში

მონტევიდეო, 21 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ მონტევიდეოში ჩამოვიდა საბჭოთა სავაჭრო დელეგაცია სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს დასავლეთის ქვეკონტინენტთა ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილის ნ. ვ. ზინოვიევის მეთაურობით. დელეგაცია აწარმოებს მოლაპარაკებას გადასახადილის განვადებისა და ურუგვაის იქსპორტის სესონოთ გადახდის პირობებით საბჭოთა მანქანებისა და მოწყობილობის მიწოდების შესახებ სსრ კავშირისა და ურუგვაის შეთანხმების დადების თაობაზე.

ნავთობის ახალი არტერია

პრაღა, 21 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიაზე დამთავრდა ნავთობსადენ „მეგობრობის“ მეორე ხაზის 270-კილომეტრიანი ტრასის გაყვანა, რომელიც 1965 წელს დაიწყო. დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაბმულმა მშენებლებმა სამუშაოები ვადაზე სამთვენახევრით ადრე დაამთავრეს. ნავთობის ახალი არტერიის საექსპლოატაციოდ გადაცემა უფრო სრულად დააკმაყოფილებს ჩეხოსლოვაკიის მზარდ მოთხოვნილებებს ამ დიდმნიშვნელოვან პროდუქტზე.

პრაფესიალური მოლაპარაკება კანბერაში

კანბერა, 21 დეკემბერი. (საკდესი). დღეს ავსტრალიის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ჰოლტის დაღუპვის ამო გამართულ სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობისათვის კანბერაში ჩამოვიდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონსონი, რომელსაც ახლავს 300-ზე მეტი კაცი.

დილით პარლამენტის შენობაში გაიმართა ჯონსონის პირველი შეხვედრა ავსტრალიის პრემიერ-მინისტრ მაკიუენთან, რომელიც დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა. მაკიუენმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ დღის განმავლობაში გაიმართება კანბერაში ჩამოსული ლიდერების „არაოფიციალური“ მოლაპარაკება „მათთვის საინტერესო პრობლემებზე“, მაგრამ „მოსალოდნელი არ არის გაერთიანებული ოფიციალური კონფერენცია.

ვიეტნამი საბოლოო გამარჯვებამდე

კაენი, 21 დეკემბერი. (საკდესი). სანამ ამერიკელი იმპერიალისტები არ შეწყვეტენ თავიანთ აგრესიულ ომს, სამხრეთ ვიეტნამიდან არ გაიყვანენ თავიანთ ჯარებსა და თანამეგზავრთა სატელიტების ჯარებს, არ მოსპობენ სამხედრო ბაზებს სამხრეთ ვიეტნამში და არ მისცემენ სამხრეთვიეტნამელ ხალხს შესაძლებლობას უფლებიანად ჩაერევიან თითონ მოაწესრიგოს თავისი საშინაო საქმეები, ჩვენს ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იარაღით ხელში საბოლოო გამარჯვებამდე იბრძოლოს, განაცხადა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის თავჯდომარემ ნგუენ ხიუ თხომ. მან სიტყვა წარმოთქვა მიტინგზე, რომელიც 18 დეკემბერს გაიმართა სამხრეთ ვიეტნამის ერთ-ერთ განთავისუფლებულ რაიონში ფრონტის დაარსების 7 წლისთავის აღსანიშნავად. ამას იუწყება ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო, რომელიც იმოწმებს საააგენტო განთავისუფლებას.

ბეეხო რა ამ ბოლო ზვიდი წლის მანძილზე ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულ წარმატებებს, ნგუენ ხიუ თხომ აღნიშნა, რომ სამხრეთვიეტნამელმა ხალხმა დაამტკიცა ამერიკელი იმპერიალისტები „განსაკუთრებულ ომში და კვლავ ამარცხებს ეგრეთ წოდებული „ლოკალური“ ომის პირველ რაუნდებში“.

ამასწინანდელი წვიმის სეზონის დრო, აღნიშნა მან, განთავისუფლების არმიამ არაერთხელ განახორციელა მეტვითი ოპერაციები ამერიკისა და მარიონეტული ჯარების სამხედრო ბაზებისა და ქალაქების — პროვინციების ცენტრების წინააღმდეგ. ამა წლის მაისიდან სექტემბრამდე სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა დახოცეს ან დაჭრეს მოწინააღმდეგის 143.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის 53.400 ამერიკელი, ჩამოაგდეს ან მოსპეს დედამიწაზე 1.400-ზე მეტი თვითმფრინავი, მწყობრიდან გამოიყვანეს დაახლოებით ორი ათასი სამხედრო ავტომანქანა, აქედან 1.200 ტანკი და ჯავშანმანქანა.

მიმდინარე წლის მრავალი სეზონის დამდეგს განთავისუფლების არმიამ ხელი იღება ინიციატივა და ამერიკელ ინტერვენტებთან და მათ დამქაშებთან შეუპოვარ ბრძოლებში მიმდინარე მშრალი სეზონის პირველი ორი თვის მანძილზე მოსპო მოწინააღმდეგის 40 ათასზე მეტი ჯარისკაცი, მათ შორის დაახლოებით 20 ათასი ამერიკელი ჯარისკაცი და მათი სატელიტების ჯარისკაცი.

შეეხო რა განთავისუფლების ეროვნული ფრონტის მიერ ამას წინათ გამოცხადებულ პოლიტიკურ პროგრამას, ნგუენ ხიუ თხომ თქვა, რომ ამ პოლიტიკური პროგრამის გამოქვეყნება სამხრეთვიეტნამელი ხალხის დიდი გამარჯვება იყო, რადგან იგი გამოხატავს მთელი ვიეტნამელი ხალხის კადაწყვეტილებას მიაღწიოს ეროვნულ გაერთიანებას.

სინგაპური. სინგაპურის ქუჩებში ერთიმეორის გვერდით ნახავთ უახლეს ავტომობილებსაც და ველოსიპედების ურიკებსაც. ფოტო ა. ოსიპოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

ჩამოგდებულია ვინლანში

ჰანოი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ჩრდილო ვიეტნამის სახალხო არმიის მეზენიტელებმა ტყვეებად ... ჩრდილოეთით მდებარე ვინლინის რაიონში ჩამოაგდეს „ბ-52“ ტიპის ორი ამერიკული ბომბდამშენი.

ამერიკელი მფრინავის განცხადება

ვაშინგტონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). „როგორც ჩანს, ჩრდილოეთ ვიეტნამში ყოველი მამაკაცი, ქალი და ბავშვი შესანიშნავად ხმაურობს შაშხანას. თუ დაეშვებით 600-1000 მეტრ სიმაღლეზე, თქვენს თვითმფრინავს მაშინვე ტყვიები დაცხრილავს“, — განაცხადა გუშინ პენტაგონში გამართულ პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების მფრინავმა კაპიტანმა რობერტ დუნმა, რომელიც ვიეტნამიდან დაბრუნდა. მან აღიარა, რომ წელს მკვეთრად გაიზარდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საჰაერო დაცვის ძლიერება. რ. დუნმა აღნიშნა, რომ საზენიტო რაკეტები მრისხანე იარაღია. „ეს რაკეტები“, — თქვა მან, — გადამწყვეტ როლს ასრულებენ საჰაერო დაცვის საჰაერო საერთო სისტემაში. მათი თავიდან აცილებლად ამერიკული პილოტები ხშირად იძულებული არიან მანქანრა გასწორონ მცირე სიმაღლეზე, რის გამო საზენიტო ქვემეხების ცეცხლის ზონაში ხვდებიან“.

მიწისქვრა იუგოსლავიაში

ბელგრადი, 21 დეკემბერი. (საკდესი). წუხელ იუგოსლავიის ქალაქ ტეტოვოს რაიონში აღნიშნული იყო 7 बალი ძალის მიწისქვეშა ბიძგი. ტეტოვო მდებარეობს სკოპლეს დასავლეთით დაახლოებით 50 კილომეტრზე. სკოპლეში მიწისქვეშა ბიძგის ძალა 4-5 बალს აღწევდა.

ხან ძი-იანის სანიმუშო ოჯახი

როგორ მივაღწიოთ „მაო ძე-დუნის აბსოლუტური ავტორიტეტის დამკვიდრებას“ — აი რა აწუხებთ ყველაზე მეტად იმათ, ვინც ახლა ხელმძღვანელობს პროპაგანდას პეკინში. როგორც ჩინეთის პრესიდან ჩანს, დაისახა ამ გაუთავებელი კამპანიის ახალი ეტაპი. გაზეთები და რადიო ახლა მოითხოვენ, რომ კამპანიაში მონაწილეობდნენ არა მარტო ჯარის ნაწილები, სამრეწველო საწარმოთა, სასწავლებელთა კოლექტივები, არამედ თითოეული ოჯახიც. შანდუნის გაზეთი „დაჯუნ ჟიბაო“ სათაურით „მთელი ოჯახი წითელია“ მოუწოდებს ჩინელებს მიბაძონ „ვლეხის პაპა ხან ძი-იანის სანიმუშო ოჯახის“ მაგალითს.

ხან ძი-იანის მთელი სახლი, წერს „დაჯუნ ჟიბაო“, წითელია. სახლის ყველა კედელს ამშვენებს თავმჯდომარე მაოს ფერადი პორტრეტები და ციტატები. ყოველდღე ადილით საუზმის წინ ოჯახის შვიდივე წევრი იღებს ხასხასა წითელყდიან „თავმჯდომარე მაოს ციტატების წიგნს“. ხმამაღლა მღერის სიმღერას „წითლად იღებება აღმოსავლეთი“ და „უსასრულო დღეგრძელობას, უსასრულო დღეგრძელობას“ უსურვებს დიდ ბელადს თავმჯდომარე მაოს. ოჯახის ყველა წევრი სწავლობს თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებებს. სამი წლის შვილიშვილმა ძაან-მინმა ზეპირად იცის თავმჯდომარე მაოს ათზე მეტი გამონათქვამი.

წინათ, წერს გაზეთი, პაპა ხანის ოჯახში თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა შესწავლის პოლიტიკური ატმოსფერო არ ყოფილა ესოდენ ძლაფრი. პაპა ხანი ამბობდა, 70 წელს გადავცდი, მსხვილ ეროგლიფებსაც კი ვეღარ ვარჩევ, რაღა დროს ჩემი სწავლაა. მაგრამ მიმდინარე წლის თებერვალში პაპა ხანის ოჯახში მოვიდნენ ჩინეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი არმიის ჯარისკაცები, რომლებიც „მემარცხენე გლეხებს ეხმარებოდნენ და უამბეს პაპა ხანს ლიუ შაო-ცის უამრავი დანაშაული. როგორც გაზეთი წერს, მთელი ოჯახი საშინლად გაბრაზდა... ამ დღიდან მოყოლებული გადაწყდა ყოველდღიურად მოეწყოთ ოჯახური კრებები, რათა შეესწავლათ თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებები და გაეკრიტიკებინათ ლიუ შაო-ცი. თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა ყოველდღიური შესწავლის შედეგად, ნათქვამია სტატიაში, ოჯახის კლასობრივი შეგნება განუწყვეტლივ მაღლდებოდა. კულტურულ რევოლუციის დროს მთელი ოჯახი ძაოფანთა რაზმში შევიდა.

სხვა გლეხის — იან-გენის ოჯახში გამართულ პირველ „ოჯახურ კრებაზე“ მოგვითხრო ამას წინათ შანხაის გაზეთმა „ძეფან ყიბაომ“. ამ ოჯახის წევრებმა გაზეთის თქმით, კრების დასაწყისში ხმამაღლა მღეროდნენ სიმღერას „გაშლილ ზღვაში უმესაჭეოდ ვერ გახვალ“. შემდეგ ოჯახის მეთაურმა უწიგნურმა გლეხმა იან ა-გენმა განაცხადა, ჩემს თავში ბევრი „ეგოიზმია“, აქამდე მხოლოდ საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებაზე ვფიქრობდი და თავმჯდომარე მაოს წიგნებს ცუდად ვსწავლობდიო. მან კრების მონაწილეებს აღუთქვა, რომ დღეიდან რიგიანად იკითხავს თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებებს, მოუსმენს თავმჯდომარე მაოს და მასთან ერთად განახორციელებს რევოლუციას. კრების შემდეგ მთელმა ოჯახმა იმღერა სიმღერა „თავმჯდომარე მაო მშობლებსა და შვილებზე ახლობელია“.

შანხაის გაზეთი „ვენხეეი ბაო“ საკმაოდ გულახდილად განმარტავს, ამიერიდან აზრებს სწორედ რომ ყოველ ოჯახში უნდა აკონტროლებდნენო. „თითოეული ოჯახი უნდა გადავაქციოთ თავმჯდომარე მაოს ნაწარმოებთა ყოველდღიური შესწავლის აუდიტორიად, — წერს გაზეთი, — თითოეულ ბინაში უნდა იკიდოს თავმჯდომარე მაოს პორტრეტი, თითოეული ოჯახი უნდა კითხულობდეს თავმჯდომარე მაოს წიგნებს, მღეროდეს თავმჯდომარე მაოს ციტატებზე დაწერილ სიმღერებს.

რამდენიმე ათასწლეულის განმავლობაში, განაგრძობს „ვენხეეი ბაო“ ოჯახურ ურთიერთობას საფუძვლად ედო ის, რომ ბავშვები უჯერებდნენ მშობლებს, ცოლები კი ქმრებს. ახლა სქმე ის კი არ არის, ვინ ვის უჯერებს, არამედ ის, თუ ვისი შეხედულებანი შეესაბამება მაო ძე-დუნის იდეებს, და ვისი — არა. „ვენხეეი ბაო“ ამტკიცებს, რომ, „თუ ყველგან მოეწყობა კრიტიკული ოჯახური კრებები, ეს დაჩქარებს დიდი პროლეტარული კულტურული რევოლუციის საბოლოო გამარჯვებას. (საკდესი, 21 დეკემბერი).

ამერიკის კაპიტალი ფეხს იკიდებს ინგლისში

ლონდონი, 20 დეკემბერი. (საკდესი). ინგლისი ძირითადი ცენტრია ევროპაში, სადაც თავმოყრილია ამერიკის კაპიტალდაბანდებანი. ამას მოწმობს ამ ბრონეურის მონაცემები, რომელიც ამას წინათ გამოაქვეყნა ლონდონში სამეუნო სამეცნიერო-საკვლევმა ბიურომ. კერძოდ, 1966 წლის დამლევისათვის ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდებათა საერთო თანხამ ინგლისში 80 პროცენტით გადააჭარბა კაპიტალდაბანდებებს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში და სამჯერ მეტი იყო, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდება საფრანგეთში.

ბრონეურაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ძლიერ კონტროლს უწევენ ინგლისის მრეწველობის მრავალ დარგს. ამერიკის კაპიტალების ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი დაბანდებულია ინგლისის დამმუშავებელ ნავთობის მრეწველობაში. 1964-1966 წლებში ამ დარგებში დაბანდებული კაპიტალები გაიზარდა შესაბამისად 246 და 90 მილიონი გირვანქა სტერლინგით. ინგლისის მთელი ექსპორტის 12 პროცენტი მოდის ამერიკის დამმუშავებელი მრეწველობის კომპანიათა პროდუქციაზე.

ინგლისის ნავთობგადამმუშავებელ საწარმოთა და სათბობის გამანაწილებელი ქსელის თითქმის ნახევარს კონტროლს უწევს ამერიკის სამი მსხვილი კომპანია: „ესსო“, „ტეხას ოილ კომპანი“ და „მობილი“. გამოანგარიშებულია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კაპიტალდაბანდება ჩრდილოეთი ზღვის ფსკერიდან გაზის მოპოვებაში 50 პროცენტზე მეტს შეადგენს.

ამერიკის კაპიტალი კონტროლს უწევს აგრეთვე ხუთიდან სამ დიდ საავტომობილო ფირმას, რომლებიც ინგლისის შინაური ბაზრისათვის უშვებენ ყველა მსუბუქი ავტომანქანის ნახევარზე მეტს.

ელექტრონულ მრეწველობასა და ზუსტ ხელსაწყოთა საწარმოებში მომუშავე თითქმის ყოველი მესამე მუშაობს ფირმაში, რომელსაც კონტროლს უწევენ ამერიკელები.

ამერიკის შეერთებული შტატების დიდი გავლენა იგრძობა აგრეთვე ფარმაცევტულ, ფეხსაცმლისა და სხვა დარგებში.

სულ კი ამჟამად დაახლოებით 1.650 კომპანია ან ეკუთვნის ამერიკის ფირმებს, ან ექვემდებარება მათს კონტროლს, განაცხადა პარლამენტში ვაჭრობის მინისტრმა მიმდინარე წლის ნოემბერში.

ბროშურაში აღნიშნულია, რომ ინგლისში სულ უფრო იზრდება ამერიკის კაპიტალდაბანდებანი.

ბოლივიელ ბანდიტთა ... ...

ლა პაზი, 21 დეკემბერი. (საკდესი). ... ...

მეცნიერის ამაგი

პროფესორ ვ. ი. მამასახლისოვის დაბადების 60 წლისთავის გამო

ცამოჩენილ საბჭოთა ფიზიკოს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვაგან ივანეს-ძე მამასახლისოვს დაბადების 60 და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავი შეუსრულდა.

ვ. ი. მამასახლისოვი ეკუთვნის საქართველოს ფიზიკოსთა იმ ჯგუფს, რომელმაც დიდი ორი შეასრულა საქართველოში თანამედროვე ფიზიკის განვითარებისა და ფიზიკოსთა კადრების აღზრდის საქმეში.

ვ. მამასახლისოვი 1936 წლის სექტემბრიდან მუშაობას იწყებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თეორიული ფიზიკის კათედრაზე. მაშინ იგი უკვე ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატია. 1937 წლიდან დღემდე იგი ამ კათედრის გამგედ მუშაობს. 1937 წელს ამ კათედრასთან ჩამოყალიბდა თეორიული ფიზიკის სემინარი, რომელიც პროფ. ვ. მამასახლისოვის ხელმძღვანელობით დღემდე განაგრძობს მუშაობას. 1948 წელს ვ. მამასახლისოვმა დაიცვა დისერტაცია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო ერთი წლის შემდეგ მიენიჭა პროფესორის წოდება, იმავე წელს დაინიშნა უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის დეკანად. 1951 წელს ეს ფაკულტეტი გადაკეთდა ფიზიკის ფაკულტეტად. მთელი ამ ხნის განმავლობაში და შემდეგშიც, 15 წლის განმავლობაში, ფიზიკის ფაკულტეტის დეკანად პროფ. ვ. მამასახლისოვი მუშაობდა. სწორედ ამ პერიოდში მოხდა სრულიად ახალი ლაბორატორიების შექმნა როგორც უნივერსიტეტის შენობაში, ისე მის გარეთ.

პროფ. ვ. მამასახლისოვი გულმოდგინედ და შეუპოვრად იღვწოდა როგორც ბაზის გამდიდრებისათვის, ისე სამეცნიერო კადრების გამოზრდისათვის. საკმარისია ითქვას, რომ პროფ. ვ. მამასახლისოვმა ოცამდე ისეთი ასპირანტი გამოზარდა, რომლებმაც ხარისხები დაიცვეს ატომბირთვის თეორიის საკითხებს. ატომბირთვის ფიზიკა, როგორც მეცნიერება, ჩამოყალიბდა 1932 წელს. იუბილარის პირველი შრომა სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება. მან შეისწავლა ორნუკლონიანი სისტემის — დეიტრონის თვისებები. დეიტრონი შედგება ნეიტრონისა და პროტონისაგან. ვ. მამასახლისოვის შრომაში შესწავლილ იქნა მათ შორის ურთიერთქმედების ხასიათი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ 1936 წელს ვ. მამასახლისოვმა პირველმა შენიშნა ატომბირთვული ძალების ერთი, მეტად მნიშვნელოვანი თვისება, სახელდობრ ის, რომ ახლო მანძილებზე ნეიტრონი და პროტონი არა მარტო მიიზიდავს ერთმანეთს, არამედ რაღაც მანძილებზე მათ შორის განზიდვაც ხდება. მხოლოდ ორი ათეული წლის შემდეგ იქნა დასაბუთებული ურთიერთქმედების ეს თვისება და დღეს იგი საყოველთაოდ არის აღიარებული.

ფიზიკაში დამუშავებულია მეთოდები, რომლებიც საკმაოდ კარგი მიახლოებით შეიძლება გამოყენებულ იქნას ნეიტრონ-პროტონების დიდი რაოდენობით შემცველი სისტემებისათვის. ასეთი ბირთვებს ძმიმე ბირთვებს უწოდებენ. რაც შეეხება ბირთვებს, რომლებიც მხოლოდ რამდენიმე ნეიტრონ-პროტონს შეიცავს (გვიანდელ ოდებული მსუბუქი ბირთვები), აქ მდგომარეობა ძალზე რთულია, რადგან ზემოაღნიშნული მეთოდების მსგავსი მეთოდები ამ არეში, თანამედროვე ფიზიკაში არ არსებობს.

პროფ. ვ. მამასახლისოვის მეცნიერული ინტერესი სწორედ ბირთვული ფიზიკის ამ უველაზე რთული საკითხებისაკენ არის მიმართული. შესაძლებელია სწორედ ამიტომაც იგი საბჭოთა კავშირში „მსუბუქი ბირთვების პატრიარქის“ სახელით არის ცნობილი.

რაში მდგომარეობს პროფ. ვ. მამასახლისოვის ძირითადი იდეა მსუბუქი ბირთვების შესახებ? მისი აზრით, მსუბუქ ბირთვებში ზეიმლება შეიქმნას ნეიტრონ-პროტონების რამდენიმე გამოყოფილი დაჯგუფება-კლასტერები. ეს კლასტერები გარკვეულ პროცესებში მონაწილეობას იღებენ როგორც მთლიანები. ასეთი დაშვების საფუძველზე მეცნიერთა იმ ჯგუფის მიერ, რომელსაც პროფ. ვ. მამასახლისოვი ხელმძღვანელობს, შესწავლილ იქნა მთელი რიგი მსუბუქი ბირთვები, და საკმაო დამაჯერებლობითაც შემოწმდა ეს მოდელი. უკვე ორ ათეულ წელზე მეტია, რაც ასეთ სამუშაოს აწარმოებს ვ. მამასახლისოვი და დღეს უკვე ყველასათვის მისაღები გახდა აღნიშნული წარმოდგენა.

ამ ბოლო წლებში, როდესაც ფიზიკოსებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სწრაფადმოქმედი ელექტრონული გამოთვლითი მანქანები, ვ. მამასახლისოვის ინტერესი ბირთვული ფიზიკის ამ მიმართულებით კიდევ უფრო გაღრმავდა, რადგან შესაძლებელი გახდა მეტად რთული და გრძელი გამოთვლების წარმოება, ეს ინტერესი შემდეგში მდგომარეობს: შესწავლილ იქნას მსუბუქი ბირთვების თვისებები ცალკეული შემადგენელი ნეიტრონ-პროტონების ურთიერთქმედების საფუძველზე და მოიძებნოს ატომის ბირთვებში კლასტერების წარმოქმნის შესაძლებლობები. ამ მიმართულებით მას უკვე აქვს პირველი გარკვეული წარმატებები. არსებობს ყველა მონაცემი იმისა, რომ მომავალში აღნიშნული ობიექტის ასეთი კომპლექსური შესწავლა საშუალებას მოგვცემს აღმოვაჩინოთ ატომის ბირთვების მრავალი, ჯერ კიდევ ჩვენთვის უცნობი თვისება.

პროფ. ვ. ი. მამასახლისოვი კვლავ ახალგაზრდული ენერგიითა და გატაცებით ხელმძღვანელობს ამ საფუძველზე და იმედია, რომ ახლო მომავალში გაგვახარებს ამ დიდი მეცნიერული მიღწევებით.

ვუსურვოთ იუბილარს ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი სიცოცხლე ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

პროფ. გ. ხუციშვილი,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი,
პროფ. ვ. პარაკაძე,
დოც. ი. ვაშაკიძე.

„საღლინო“ იპყრობს ევროპრესელთა გულებს

ამ დღეებში ევროპოსში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნდა ქ. რუსთავის ანსამბლი „სალხინო“, რომელსაც ხელმძღვანელობს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის სახალხო არტისტი გიორგი დარახველიძე, ქორეოგრაფია ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოლის ფესტივალის ორგზის ლაურეატი რეზო ჭოხონელიძე.

რუსთავის მოცეკვავეები ფართო რეპერტუარით წარსდგნენ ევროპოსელ მაყურებელთა წინაშე. მათ ორგანიზეფილებიან საკონცერტო პროგრამაში 14 მასობრივი და ინდივიდუალური ქართული ცეკვა ჰქონდათ.

ქართველმა მოცეკვავეებმა ნიკოზოის გარდა თავიანთი ხელოვნება უჩვენეს ქალაქებში — ლარნაკაში, ფამაგუსტაში, პაფოსში, მორფოუში, ლიმასოლში.

ევროპოსელებმა პირველად იხილეს ქართული კოლექტივი და, ბუნებრივია, მისდამი დიდი ინტერესი გამოიჩინეს.

თ. ბურჭულაძე —
ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე ამავე ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა **თენგიზ ვლადიმერის-ძე ბურჭულაძემ** ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცვა დისერტაცია თემაზე: „ზოგიერთი ბრტყელი სასაზღვრო ამოცანის გამოკვლევა ილიფსური ტიპის განტოლებათა სისტემისათვის და მათი გამოყენება ანიზოტროპულ ტანთა დრეკადობის თეორიაში (პოტენციალთა და ინტეგრალურ განტოლებათა მეთოდი)“.

სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან არსებულმა უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ დაამტკიცა **თ. ბურჭულაძისათვის** ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მინიჭება.

თათბირობენ მულტიპლიკატორები

23 დეკემბერს თბილისის კინოს სახლში მუშაობას იწყებს სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის მულტიპლიკაციური ფილმების კომისიის საკავშირო პლენუმი, რომელიც პირველად ეწყობა ჩვენს დედაქალაქში.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში ჩამოვლენ მოსკოვის, კიევის, ტალინის, ერევნისა და სხვა ქალაქების მულტიპლიკაციური კინოს ცნობილი მოღვაწეები, რეჟისორები, მხატვრები, მწერლები. პლენუმი განიხილავს მულტიპლიკაციური ფილმების მთელ რიგ აქტუალურ საკითხებს. მსჯელობის ერთ-ერთი მთავარი თემა იქნება საბჭოთა მულტიპლიკაციური ფილმების ხელოვნება, სხვადასხვა რესპუბლიკის მულტიპლიკატორთა შემოქმედებითი და საწარმოო კონტაქტების გაძლიერება, იმ სტუდიებისადმი დახმარება, სადაც ახლად იქმნება მულტიპლიკაციური ფილმები.

მოხსენებებით გამოვლენ სსრკ კინემატოგრაფისტთა კავშირის მულტიპლიკაციური ფილმების კომისიის თავმჯდომარე, რეჟისორი ფ. ხიტრუკი, პროფესორი ი. ივანოვ-ვანო, ე. ტუგანოვი, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რეჟისორი ვ. ბახტაძე და სხვ.

პლენუმის მონაწილეები ნახავენ ნახატი და თოჯინური ფილმებიდან პლენუმის მონაწილეები გაეცნობიან „ცრუმორწმუნეების ბალადასავალს“ (ავტორი და რეჟისორი ბ. სტარევიჩი), „ეშმაკის ჯვარცმას“ (სცენარის ავტორი ა. შალუტაშვილი, რეჟისორი შ. გეოდეკანიშვილი), „ოქროს“ (სცენარის ავტორები და მთავარი მხატვრები ო. ქოჩაკიძე, ა. სლოვინსკი და ი. ჩიკვაიძე, რეჟისორი ო. ანდრონიკაშვილი), „სამ მეზობელს“ (სცენარის ავტორი ნ. ბენაშვილი, რეჟისორი ვ. ბახტაძე), თოჯინურ ფილმს „ბოგონა და შადრევანი“ (სცენარის ავტორი ე. ყიფიანი, რეჟისორი ა. სულაკაური).

პლენუმის მონაწილენი შეაჯამებენ გასული წლის მუშაობას და დაამტკიცებენ მომავალი წლის პერსპექტიულ გეგმას.

მულტიპლიკატორთა საკავშირო პლენუმი 26 დეკემბრამდე გასტანს.

საკავშირო კლენუმი თბილისში

სოფლის სიკეთისათვის

გურჯაანი. (საკ. კორ.). არც თუ ისე პატარა საკოლმეურნეო სოფელია ნანიანი, მაგრამ წლების განმავლობაში ჩამორჩენილ მეურნეობას არ შეეძლო მოსახლეობის მოთხოვნათა შესაბამის დონეზე აეყვანა სასოფლო შენებლობა. უკანასკნელ წლებში კი ნანიანელებმა დაძლიეს ჩამორჩენა. საიუბილეო წელს სოფელმა მიიღო ახალი წყალსადენი 22 ონკანით, მოასფალტებული კალო, მარცვლის შესანახი ფარდული, სახერხი ქარხანა და საკოლმეურნეო აბანო.

10.000 ნორჩი დამთვალიერებელი

თელავი. (საკ. კორ.). ოქტომბრის იუბილეს წინადღეებში გაიხსნა თელავის პიონერთა სახლის ხაზვა-ხატვის წრის ნორჩ მხატვართა და მხაზველთა ნამუშევრების გამოფენა, მაგრამ მისდამი ინტერესი არც ახლა შენელებულა. დამთვალიერებლები ინტერესით ეცნობიან 3. ბიძინაშვილისა და გ. მარკოზაშვილის მიერ ხორბლის მარცვლებითა და ყვავილთა თესლით ფერებში შესრულებულ მხატვრულ ტილოებს, ნორჩ მხაზველთა V რესპუბლიკური ოლიმპიადის თელაველ ლაურეატთა ნახაზებს და სხვ. გამოფენა უკვე 10 ათასზე მეტმა ნორჩმა დამთვალიერებელმა ინახულა.

მ. ნ. ცინცაძე

გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სკკპ წევრი 1917 წლის მარტიდან, პერსონალური პენსიონერი მოსე **ნიკოლოზის-ძე ცინცაძე.**

მ. ცინცაძე დაიბადა 1902 წელს სოფელ ლანჩხუთში ღარბი ნელის ოჯახში. თოთხმეტი წლის ასაკში შრომითი საქმიანობა დაიწყო დურგლად. 1917 წლიდან კი უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებდა რევოლუციურ მოძრაობაში და საქართველოს კომკავშირის შექმნაში. ამ პერიოდში მ. ცინცაძემ არაერთხელ განიცადა რეპრესიები მენშევიკური მთავრობის მხრივ.

1919–1921 წლებში მ. ცინცაძე არჩეული იყო პარტიის თბილისის კომიტეტის წევრად, 1921-22 წლებში იმყოფებოდა პარტიულ სამუშაოზე არმიაში, 1922 წელს იყო სიღნაღის სამაზრო კომიტეტის მდივანი, 1923 წელს პარტიის საოკრუგო კომიტეტის მდივანი სტალინგრადში.

შემდეგ მ. ცინცაძეს მთელი რიგი პასუხსაგები თანამდებობები ეჭირა სახალხო მეურნეობაში. უკანასკნელ ხანს მუშაობდა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მერძევეობა-მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობების სპეციალიზებული ტრესტის უფროსს აგრონომად.

სამშობლოს წინაშე **დამსახურებისათვის** მ. ცინცაძე დაჯილდოებული იყო „სამამული ნიშნის“ ორდენით, მედლებით „1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის“, „მამაცური შრომისათვის“.

გულითადი, გულისხმიერი ამხანაგი, პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული კომუნისტი მ. ცინცაძე, ყველგან, სადაც კი მუშაობდა სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა.

მისი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება ჩვენს გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„ტალის პროსპექტი“

ბუენოს-აირესის რადიოს ცნობით არგენტინის მთავრობამ ვიზა არ მისცა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელიც **არგენტინის დედაქალაქში უნდა შეხვედროდა ცნობილ საკლუბო გუნდს „ბოკა ჰუნიორსს“.**

ამ „მიხეილ ტალის სახელობის პროსპექტზე“ უწოდეს.

პირველ ტურში მიშამ მოუგო ესტონელ ჰპარნუსს. ტალმა პარტიის შემდეგ გვიამბო, რომ 14 წლის წინათ აქვე, ხარკოვში, წაგო პარტია კიარნუსთან ჩვენი ქვეყნის ჭაბუკთა პირველობაში. 14 წლის შემდეგ მოხდა რევანში!

მეორე ტურში ტალი შეხვდა ლენინგრადელ ოსტატ ბუხმანს. საინტერესოა, რომ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში ტალს თირკმლის ოპერაცია გაუკეთა პროფესორმა ბუხმანმა. დებიუტის შემდეგ ტალი ხუთრობდა: ბუხმანმა ჯერჯერობით ერთი პაიკის „ამპუტაცია“ გამიკეთაო. მაგრამ საბოლოო ანგარიშით ტალის ეს ოპერაცია ამჯერად მისი გამარჯვებით დამთავრდა.

მ. ტალი ნომერი I ატრაქციონია. მართალია, მსჯთა კოლეგიას ბევრი სადავიდარაბა აქვს. როგორ შეაკავოს ხალხი, რომელიც მთელი ძალით ცდილობს ტალის დაფასთან მივიდეს? შეუძლებელია. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ თამაშის პირობები აქ ისეთივე როდია, როგორიც იყო სსრ კავშირის ჩემპიონატებში, რომლებიც თბილისში 1959 და 1966 წლებში გაიმართა. აქ ყველა მონაწილე იხსენებს მზიურ თბილისს და შემოქმედებისათვის შექმნილ იდეალურ პირობებს.

ფეხბურთის ამბები

ბუენოს-აირესის რადიოს ცნობით არგენტინის მთავრობამ ვიზა არ მისცა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებს, რომელიც **არგენტინის დედაქალაქში უნდა შეხვედროდა ცნობილ საკლუბო გუნდს „ბოკა ჰუნიორსს“.**

უეფამ მიიღო გადაწყვეტილება — ევროპის ჩემპიონთა თასისა და თასის მფლობელთა თასის გათამაშებათა მეოთხედფინალური მატჩები გაიმართოს მომავალი წლის 20 მარტამდე.

ჭადრაკის მერიდიანზე

ხარკოვის ვაჟთა საკავშირო საჭადრაკო პირველობაზე გათამაშდა 9 ტური. გადადებული პარტიების დამთავრების შემდეგ ჩემპიონატს ოთხი ლიდერი ჰყავს. ესენი არიან გროსმაისტერები **ტალი, ტაიმანოვი, ვასიუკოვი** და ოსტატი **ველიანდინოვი,** რომლებსაც შვიდ-შვიდი ქულა აქვთ.

სოჩი. აქ გრძელდება ქალთა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი. გათამაშდა 9 ტური. ლიდერობას კვლავ ესტონელი საერთაშორისო ოსტატი **რანიკუ** ინარჩუნებს, რომელსაც 8 ქულა აქვს. ლიდერს კვალდაკვალ მისდევს **სეგენა** (7 ქულა). **ჩაიკოვსკაია, ბილუნოვასა** და **კონოპლიოვას** ექვსნახევარ-ექვსნახევარი ქულა აქვთ.

„ბაკურიანი“ — ტურისტული ბაზა

ბაკურიანი. (საკ. კორ.). ბაკურიანში, ზღვის დონიდან 1700 მეტრზე, ბაზა „ბაკურიანი“ ფუნქციონირებს. ბაზა ეკუთვნის ბაკურიანის ტურისტულ ბაზას. ბაზა ორ ოთახს, ბანაკებს, ბანაკ-ბაზას, ბანაკ-ბაზა „ბაკურიანი“ — ბაზა „ბაკურიანი“ — ბაზა „ბაკურიანი“ —